იუმორისტუ-
ლი გაზეთი

წელიწადი პირველი.

# შუამავალი

№ 6 კვირა, 19 აგვისტო, 1907 წ. № 6

ფასი განცხადებისა პირველ გვერდზე პეტიტით 30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 20 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება სამშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 10 საათიდან 12 საათ. და საღამოს 5 საათიდან 7-მდე. ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ინახავს. წერილები გარკვევით და ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი.

კარიკატურებიანი, იუმორისტიული, გაზეთი „შუამავალი“ გამოდის ყოველ კვირა დღეს. ფასი წლიურათ—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 10 კ. ადრესი: თფილისი, ამხანაგობა „შრომის“ სტამბა. Тифлисъ, Типографія Т-ва „Трудъ“ для „Шуамавали“.

ბათუმის ციხეებს თხრიან!—პატრიარქისთვის 29000 მანეთიან ეტლს ამზადებენ!!—ანარქისტები კინკლაობენ!!!—სოლერა მოგვიჩოჩდა!!!!



—წაიკითხე და გახსოვდეს: „ან ფული, ან სული!“

## წერილი.

ზის ვაჭარი დუქნის ყურათ,
დაღვრემილი, ფერ-წასული.
შემოაკლდა საწარმოვო
კრედიტი და ნაღდი ფული.
გადამეტი ჯდომისაკან
დასდებია მუცლად ქონი,
(და ლიპით რომ შევაფასოთ
უნდა ჰქონდეს მილიონი).
ნამდვილათ კი დუქნის თაროს
აღარ აძევს არაფერი;
მოსჩანს ერთი შაქრის თავი
და სანთელი ორი ღერი.
თაროს ზევით დარაზმულა
ტარაკანთა მთელი ჯარი,
შიმშილსგან დაბნედილნი
და ბედისგან განამწარი.
დღე და ღამე გაიყარა...
ზის ვაჭარი ფერ წასული
და ოცნებობს: იქნებ ღმერთმა
უწყალობოს ცოტა ფული.
მართლაც, დაღლილან მიცუნცულდა
ქუჩის ბავშვი ტან მორჩილი
და მიართვა მოკრძალებით
დაბექდილი რამ წერილი.
ეუცხოვა ვაჭარს ფრიად
და გაბრწყინდა მისი სახე.
ფიქრობს: ნატვრა ამივრულდა
ბედის წყარო გამოვნახე.
გადახია წერილს ბოლო
და გაშალა წასაკითხათ,
მაგრამ მარტო დანახვაზე
მოიშალა ერთობ ფინთათ.
თვალი მოჰკრა წითელ ბეჭედს
შეუწუხდა ბაჩავს გული,
ცხადი იყო: შანტაჟისტებს
მოეწერათ მისთვის ფული.
როცა გული დაიმშვიდა
წაიკითხა მონაწერი;
მხოლოდ სამ-ს თუმანს თხოვდენ,
ეს იყო... სხვა არაფერი!!
—„ხვალ ამ დროზე მობრძანდენო“
პატარა ბიჭს დაიბარა,
წერილი კი მუხანათმა
პოლიციას ჩააბარა.
მეორე დღეს მეცხრე ჟამზე,
ზის ვაჭარი ფერ-მოსული,
უშოვია საწარმოვო
კრედიტი და ნაღდი ფული.
მოდის ბავშვი გუშინდელი,
მოდის დუქნის დასაზვერათ,



მეორე დღეს მეცხრე ჟამზე
გამოცხადდა ,,ტარიელი''.

რომ არ ყავდეს ვაჭარს ვინმე
შანტაჟისტთა დასაჭერათ.
და რაკი ეს შეასრულა
გატრიალდა ისევ სწრაფათ,
როგორც ნასწავლები ჰქონდა
„ბატონების“ დასაძახათ.
არ გასულა სამი წუთი,
რომ გამოჩდა ერთი ჯელი;
ულვაშები გადეგრიხა
და ჯიბეზე ედო ხელი.
რაკი მარტო დაინახა
ბურჟუა და სისხლის მსმელი
ვაჟკაცობით გაიქლენთა
და იშიშვლა რევოლვერი.
მიაბჯინა ვაჭარს გულზე
და შესძახა ქარამბული:
,,ნუ გვაყონებ, აირჩიე
ან სიკვდილი ან და ფული'',
მაგრამ ამ დროის აიშალა
პოლიცია დამალული
და დუქნის წინ გაიმართა
კენწაობა ხელ ჩართული.
შეცფა ჩვენი ტარიელი
და გაქცევა დააპირა,
თანაც ორი ცხელი ტყვიით
ვაჭარს გული გაუგმირა.
უკუ იქცა თითონ, მაგრამ
გაუცრუვდა უკუქცევა.
და მოასწრო ერთმა რუსმა
შანტაჟისტის წამოქცევა.
პოლიციამ, რა თქმა უნდა
არ დააკლო ბეჩავს ხელი
და ვიდრე გვარს შეიტყობდა
მაგრათ დაუზილა წელი.

---

## მწუხარე მოგონება.

(ანეკდოტი).

იმ დროში, აფხაზეთი ჯერ კიდევ ბარბაროსული, გაუნათლებელი ქვეყანა იყო და ჩვენი მართლ-მადიდებელი მოძღვარ-მისიონერები, ღვთის მსახურებით გატაცებულნი, არ ზოგავდენ არაკითარ საშუალებას, რომ ნდაც არის აფხაზთა გონება და აზრი გაეწმინდ-განესპეტაკებინათ და ამგვარათ ნათელ ეყოთ მათთვის დრამა ფულთა და სხვათა მაგვართა მისთა სიწმინდე, კანონიერება. მიუკარებელი გონება აფხაზებისა აგრე ადვილათ ვერ ითვისებდა ამ წმინდათა წმინდა მცნებას მართლ-მადიდებელ მოძღვრებისას და ხშირათ სულ მოულოდნელ პასუხს იძლეოდა მოძღვართა ჩვეულებრივ კითხვაზე.

აი ერთი ამგვარი მოძღვარ-მისიონერი ერთ ეკლესიაში თავგამოდებით უმტკიცებდა თავის ახალ-მრევლს დრამისა და სხვა ღვთიურ შესაწირივთა საჭიროებას. თეთრი სპეტაკი წვერი საამურათ ეთამაშებოდა მღვდლის გულზე მოელვარე ოქროს ჯვარს და ხალხზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა.

უცებ, ეკლესიის ერთი კუთხიდან გულ-ამოსკვნილი და ხმა-მაღალი ტირილი მოისმა. მსმენელთა და მქადაგებელთა ყურადღება დაუყოვნებლივ იქით მიიქცა. ერთი მოხუცი აფხაზი ცხარე ცრემლებს ღვრიდა და თანაც ჩუმი ხმით რაღაცას ბუტბუტებდა.

ღვთიურთა სიტყვათა თვისთა“ ზე გავლენაში ღრმათ დარწმუნებულმა მქადაგებელმა ზეცად აღაპყრო ხელნი თვისნი და ღაღადჰყო: „გმადლობ შენ შემოქმედო, რამეთუ ერთმა მაინც შეიგნო ჭეშმარიტება მცნებათა შენთაო“ და თანაც მხიარული სახით შეეკითხა აფხაზს: აეხსნა ხალხისა დ მოძღვრისათვის მიზეზი ცრემლთა დენისა.

საერთო ყურადღებითა და მწარე მოგონებით გულ აჩვილებულმა აფხაზმა ქვითინით განაცხადა:

— ძვირფასო მოძღვარო, როცა შენს კეთილ სახესა და თეთრი წვერების ცანცარს დავაცქერდი, თვალ წინ დამიდგა ჩემი საყვარელი, უდროოთ დაკარგული ვაცი, რომელსაც შეილისაგან არ ვარჩევდი და რომელიც ამ სამი წლის წინათ მომპარესო თქვენ არ გინახავთ მამაო, მაგრამ დამსწრეთაგან თითქმი სყველანი იცნობდენო,—და აფხაზმა კვლავ ცხარე ცრემლები გადმოღვარა.

ნ. ჩ—ა.

---

## სიზმრის ახსნა.

(ხონისათვის)

— ხონის სამკითხველოს გვამი ნახო ჭუჯუნაძის სარდაფში ჩაფლული —მართალია; ასეთი საზმარი ძლიერ მალე ახდება.

– მასწავლ ჭეჟიძე ნახო სამკითხველოს სასაფლაოსთან, გასყიდ საქონლისათვის ქადალდს ეზიდებოდეს – კეთილი იცის. ასეთი სიზმარიც მუდამ ახდება

— მეეტლე ნახო ნიხრზე მეტს არ გიხოვდეს არ დაიჯერო. ასეთი სიზმარი არ ახდება.

— ფედერალისტების „პარტიული ინდიკ-რების“ ნახათ ლაუშაკოვის აფთიაქთან, კრივაბანს მათამაშე— კეთილი იცის. უთუოთ ახდება.

— ივანე მარამიძე ნახო უანგაროთ მოღვაწეობდეს—ტყუილია. არასოდეს არ ახდება.

(საზოგადოთ)

— კრების დაესწრა —მრავალ სიტყვაობას ნიშნავს, ხშირათ ახდება.

— კარტი დაესიზმოს—კეთილია. დაჩაზე ცხოვრებას მოასწავებს.

— ტრამვაის ვაგონი ნახო—ცუდია მარცხი აგყვება.

— სამეურნეო საზოგადოება ნახთ—ცუდია, ფულის გაფლანგვას და უმოქმედობას მოასწავებს.

— კავკასიის სააბრეშუმო სადგური ნახთ—ძლიერ ცუდია, ვინმე მოგატყუებს, აგრეთვე მოასწავებს ყაჭის ავათმყოფობას და კეთილშობილ შანტაჟს.

---

## პროვინცია.

**ხონი.** ხონის ნოქრებმა კატეგორიული მოთხოვნები წარუდგინეს ადგილობრივ ვაჭრებს: 1) კვირა უქმე დღეებში 12 საათის მუშაობა და აუცილებლათ ტაქკით იაშჩიკების თრევა 2) პურის ფულ-თ დღიურათ შვიდი კაპეიკი. 3) ოჯახში საქმის გაჩენა და არა მარტო დუქანში მუშაობით დაკმაყო ფილება. 4) უზრდელი მოპყრობა.

თუ ყველა ეს მოთხოვნები ორი დღის ვადაში არ დაკმაყოფილდა, „ხონის ნოქარ-შეგირდთა პროფესიონალური კავშირი“ გაფიცვას გამოაცხადებს და ყოველ ღონეს იხმარს თავისი გაიტანოს.

პროლეტარი.

—

**ხორაგაული** ჩვენი ტეხნიკი ლ., რაკი ძალზე მიბეგვეს სალდათებმა ალიხანოვის ჩამოსვლის დროს, სრულიად გამოიცვალა და დემოკრატობა დაიწყო. საქმე იმაშია, რომ ,,გასამრჯელოს'' ადებას უმატა.

ვაჭრები ძალზე დამწუხრებულნი არიან უსამართლოთ, ვინაიდან აღარ იციან ახლა რაღა დააკეტვინონ პოლიციას.

ერთ ხარაზს ძილში დასიზმრებია ვილაც ,,ბუნტოვჩიკის'' ჩამოსვლა. გამოსდევნებია, რასაკვირველია და გადმოხტომის დროს ,,მუშტაზე'' დაუკრავს თავი, რითაც უკანასკნელისათვის ზიანი მიუყენებია ფერშლების შემოწმებით არ მორჩება, ხოლო ექიმს ვარლამ საყვარელიძეს არ უნახავს, რადგან ბოიკოტი გამოუცხადა, როგორც ქსენონს, აგრეთვე კერძო მნახველებსაც.

ერთ-ერთ მასწავლებელს საშინისტრო სკოლისას საზოგადოებამ ვერცხლით მოჭედილი და ოქროთ მოვარაყებული **ჯიხვის ყანწი** მიართვა საჩუქრათ; ყანწს აწერია: ,,ერთგული მოღვაწეობისათვის''.

ერთმა მწერალმა ვერცხლის მანეთიანზე შეჰფიცა ხალხს, რომ ის კერძო ინტერესებით აღარავის არ გადაასახლებიებს ამის შემდეგ. ის კი არა იმასაც ნანობს, რომ გლახუა მეტრეველმა სადღაც შორეული ციმბირის ჭაობებში დალია სული.

გულის ჭია.

—

**ბათუმი.** ბეჭდვითი საქმის მუშათა მოძრაობა ყველგან თვალსაჩინოა და მარტო ბათუმი რათ ჩამორჩებოდა ამ საერთო კანონს. აი აქაც „ბათუმსკი გოლოს“-ზე მომუშავეებმა უკანასკნელ სხდომაზე (თუ ჯდომაზე, სულ ერთია) დაადგინეს: 1) დაიხუროს გაზეთი, სტამბა და რედაქცია, როგორც დღევანდელი პირობებისათვის შეუფერებელი ბრძოლის საშუალება. 2) ნაცვლად ამისა მოეწყოს „ზარ-კამათულის“ მოთამაშეთა წრეები. 3) მოწვეულ იქნას ამ მიზნით დახელოვნებული ამხანაგები კავკასიის თუ რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან. 4) კვირეში შვიდჯერ წაკითხულ იქმნას ლექცია კამათლების შესახებ და შემოღებულ იქმნას ერთი განსაზღვრული ტერმინოლოგია. 5) კავკასიის ცენტრალურ პუნქტათ არჩეულ იქმნას ბათუმი და მხოლოდ ბათუმი. 6) ლექციებზე დასწრების ნება მიეცეს ახალგაზრდა მოწაფეებსაც. 7) გამოწერილ იქნას აფრიკიდან, ან სხვა რომელიმე ევროპიდან 4729 წყვილი სპილოს ძვლის კამათელი წევრთათვის დასარიგებლათ.

კრებამ აირჩია „ზარ კამათლის მოთამაშეთა“ დროებითი ბიურო, რომელშიაც მოჰყვენ ამ პროფესიის საუკეთესო მცოდნე პირები. იმედია ახალ ორგანიზაციას მრავალი წამბაძველი აღმოუჩნდება, რადგან თანამედროვე პოლიტიკური პირობები ხელს უწყობენ ამგვარ მიდრეკილების განვითარებას.

ადრესი კავკასიისა: „რედაქცია ბათუმსკი გოლოს“.

სარკე.

**გორი.** ჩვენ სატუსაღოს მხოლოთ „იმით“ უდგია სული. ახლა ხომ ყველგან ასეა შემოღებული და ,,ის'' ვითომ რატომ შეადგენდა გამონაკლისს? რაკი საზოგადოთ ადმინისტრაციასთან კეთილ განწყობილებაში იქნები და ხელის ჭუჭყს გაინაწილებ, მაშინ რაღა დაუდგება წინ შენს ,,საზოგადო მოღვაწეობას?'' „ისიც“ ვისაც მოისურვებს იმას დააჭერინებს ხოლმე. დაჭერის შემდეგ, რასაკვირველია, განთავისუფლების ხანა დგება, მაგრამ ვინაიდან დაჭერა უფასოა, განთავისუფლებაში მცირე სასყიდელს თხოულობს. ვისთვის იქნება მაგალითად სამძიმო, რომ 50 მანეთად შორეულ ციმბირში სიკვდილი აიცდინოს? ბ-ნი ია შ—ლი ამ მხრით დაუფასებელია გორისოვის.

კვახი.

---

**მესამე დ[illegible]**

1 ნოემბერი.

დღევანდელი დღ[illegible] მესამე დუმის ცხოვრება[illegible] ცება, ერთ სულოვნობა და უქვეყ[illegible]ლომილესობა ჯერ არ მინახავს. სეფე სიტყვა პრემიერ-მინისტრმა წაიკითხა. დარბაზში ისეთი ღრიალი ასტყდა, რომ მეორეთ მოსვლა ეგონებოდა კაცს. „ჭეშმარიტ რუსებს“, ეგონათ „საჩაიეში“ ვართო და რას მიქვია შენი თავმჯდომარე, ან პრემიერ-მინისტრი. წესიერების აღსადგენათ რაც შემეძლო ვაწკარუნებდი ზარს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! კიევო პეჩორის ლავრის დიდი ზარიც მგონია ვერას გახდებოდა მათ გატაცებულ სმენასთან. უცებ ჰაერში ამიტაცეს. როცა გონს მოვედი, დავინახე, რომ შულგინის მეთაურობით რამდენიმე დეპუტატი პრემიერ-მინისტრის ლოჟისკენ მიექანებოდა, მინისტრის ხელში ასაყვანათ. პრემიერ-მინისტრი გაიქცა და თითით დამემუქრა. ეგ კარგი ნიშანი არ არის. სამწუხაროა, რომ პირველივე კრება ასე გათავდა.

2 ნოემბერი.

დღეს თუმცა უარესს მოველოდი, მაგრამ მაინც გავხსენი კრება. დაიწყო კამათი აგრარულ საკითხის შესახებ. პირველათ ილაპარაკა დეპუტატმა კრუშევანმა. ოჰ! საბრალოვ! რომ გამახსენდება მისი ტრაღიკული მდგომარეობა, ვიწვი უცეცხლოთ! საბრალო!! მტკიცე, გაბედული ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე. ერთი მაგრათ ჩაახველა და დაიწყო: „ძმებო! უნდა გამოგიტყდეთ და ვსთქვა, რომ მე სოციალისტი ვარ...“ ამის შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს, შიშით შკაფში შევძვერი და თვალი მოვკარი მხოლოდ კრუშევანის ფეხებს, როცა მას ფანჯრიდან ქუჩაში გადაუძახეს. ამის დანახვამ თავზარი დამცა და შკაფის კარები მაგრათ მივხურე. მესმოდა მხოლოდ ღრიალი და ცემა-ტყეპა. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. როგორც იქნა გამოვძვერი შკაფიდან. დარბაზში არავინ იყო გარდა პრემიერ-მინისტრისა, ოსტენ-საკენისა და შპიკებისა. პრემიერი მოწყენით შემხვდა და მითხრა:

— მგონია, რომ ეს დუმაც გავრეკოთ...

— რას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ! რისთვის? მართალია ცოტა მხეცურათ მოიქცენ და საბრალო კრუშევანი გამოასალმეს წუთის სოფელს, მაგრამ რა ვქნათ. ახლა რაღას დავეხმარებით?

...რამ ვშიშობ, მე-
...ვოლიუციონერდეს.
...ქით თქვენო აღმატებუ-
...უსამე დუმა რევოლიუციონუ-
ლი?!!! განა ეს წარმოსადგენია?!! განა ციმბირს აქეთ კიდევ დარჩა რევოლიუციონერი?!!! არა თქვენო აღმატებულება, ეგ ყოვლად შეუძლებელია.

პრემიერი გაიღიმა.

— ეგ შესაძლებელია! დღეს მე დუმაში ორი კადეტი დავინახე ..

— მესამე დუმაში?!!!

— დიახ! დიახ! მე დავინახე ორი კადეტი, ისინი ჟურნალისტების ლოჟაში ისხდენ.

მე დავუძახე ბარონ ოსტენ-საკენს და ვუბრძანე, არ შემოეშვათ კადეტები დუმაში. ამგვარათ დღესაც გადავარჩინეთ მესამე დუმა.

3 ნოემბერი.

დღეს უკიდურესმა მემარცხენეებმა შეკითხვა შეიტანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ოჰ! ეს ოქტომბრისტები! იმდენს იზამენ თავიანთი შეკითხვებით, რომ დაგვიღუპავენ დუმას!!!

ეს გუჩკოვი, სწორეთ ნამდვილი წერეთელია.

მერე შეკითხვაც რომ ისეთი მწვავე ხასიათისა და ფორმის შეედგინათ?!

„მიუხედავათ იმისა, რომ კაბინეტი კონსტიტუციონურია, რატომ კიდიათ გოროდოვოებს რევოლვერები მარჯვენა გვერდზე, თითქო მარცხენა გვერდი არ ქონდეთო“. შეკითხვა ხმის უმეტესობით კომისიას გადაეცა.

ღამის თორმეტ საათზე მე მივედი მინისტრებთან და შეკითხვის გამო ბოდიში მოვიხადე.

დუმა ამ ხელათაც გადავარჩინე.

4 ნოემბერი.

დღევანდელი დღე მეტათ მშვენიერი დღეა! ასე მხიარულათ არც ერთი კრება არ გათავებულა. კრების დროს მამა ილიოდორე შეეკითხა პროფესორ კაპუსტინს:

— ბომბოჩკა ხომ არა გაქვთ ჯიბეში?

მათმა აღმატებულებამ ბევრი იცინა ამ შეკითხვაზე.

კრება ამით დასრულდა.

5 ნოემბერი.

დღეს კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა; კრებაზე დეპუტატ შულგინს ბოთლით არაყი შემოეტანა. სხდომის დროს ამოიღო და დაეწაფა. ეს დაინახა პურიშკევიჩმა, გულმა აღარ მოუთმინა. მსწრაფლ მიიჭრა და ბოთლის წართმევა მოუნდომა. შეიქნა ჯახი. არაყიანი ბოთლი კელეპოვ-



როცა ბანქოს თამაშობენ,
ასე ფიქრობს თვითეული:
,,კაცი მე ვარ... სხვა ვირები...
აქ კი მოიგება ფული''.

სკამ იგდო ხელთ, შულგინმა პურიშკევიჩის წვერი და პურიშკევიჩმა შულგინის თმა. როგორც იქნა ცივი წყალი გადავასხით და გავაშველეთ ვშიშობდი ეს ამბავი ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს მინისტრზე მეთქი და შევედი ბოდიშის მოსახდელათ, მაგრამ ღიმილით მითხრეს:

— ნუ სწუხდებით! ძლიერ სასიამოვნოა თუ ხშირათ მოხდება ასეთი ამბებიო. ბევრი ვიცინეთო.

6 ნოემბერი.

...ოჰ! დიდებულო ღმერთო! დავიღუპეთ... დღეს ეპისკოპოზი ევლოგი და დუბროვინი გაჩხრიკეს. . მთავრობამ მოითხოვა შულგინის და პურიშკევიჩის გაცემა .. გავეცით... ამ გზობით კიდევ დავახწიეთ თავი. ენახოთ რა იქნება!

ირეთელი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

**არჩევნები.** ყველა პარტიებზე მეტი თავგამოდებით ამ არჩევნებში **შავი**, ანუ მემარჯვენე პარტიები იბრძვიან. როგორც სააგენტოს ცნობებიდან გავიგეთ ჯერ ჯერობით, სხვა-და-სხვა ქალაქებში რასაკვირველია, გადაუხდიათ 1976 პანაშვიდი და 4017 პარაკლისი. ხალხი თურმე დიდის აღტაცებით ისმენს ამ ახალ-მოდის საარჩევნო აგიტაციას.

**ცილის-წამება.** ვილაც-ვილაცებმა ს. რევოლიუციონერებს გონზე მოსვლა და არჩევნებში მონაწილეობის განზრახვა დასწამეს. ამან ძლიერ გააბრაზა ჩვენი ნაცნობი ბოიკოტისტები და კატეგორიულათ აცხადებენ, რომ იმათ დიახაც არ შეუგნიათ თავიანთი პამპულასებური მდგომარეობა და რომ დღესაც, თუმცა ობლათ, მაგრამ მაინც ბოიკოტის ტაქტიკაზე არიან გადამჯდარნი.

**მილიონერი მათხოვრები.** ოქტომბრისტების პარტიას მსხვილი ბურჟუაზია შეადგენს. სოფლებში თუ სადმე ცეცხლი გაჩნდა უმთავრესათ იმათი მამულები იწვის, მაგრამ ღვლათი მაინც ბევრი რჩებათ. გროშები შემოაკლდათ მხოლოთ არჩევნებისათვის და აიკიდეს სამათხოვრო ჩანთები „ძმებო და მეგობრებო! გვიშველეთ, სამშობლო იღუპება, საარჩევნო ფულები არა გვაქვს და შეგვეწიეთ რამეო. მემარჯვენე პარტიები ცოლშვილს აგირავებენ, მემარცხენეები ექსპროპრიაციებს ახდენენ; ხოლო ჩვენ არც ერთი შეგვიძლია და არც მეორეო. გვაჩუქეთ ორი კაპეიკი ღვთისა და მამულის გულისათვისო.

**29000 მანეთი პირველ ყუვლისა.** ხუცები, სრულიად რუსეთის პარტიული სიეზდისათვის ემზადებიან. როგორც ამბობენ სიეზდის უმთავრესი მიზანია პარტიას ერთი თავი გამოაბას ე. ი. აირჩიოს სრულიად რუსეთის ყოვლად სამღვდელო პატრიარქი; ხოლო პატრიარქის უპირველეს საქმეს შეადგენს იყოლიოს 29000 მანეთიანი ეტლი, რომელსაც ამ დროითვე უმზადებენ მას ხუცები.

## პ რ ე ს ს ა.

კარგა ხანია ჩვენ ქართულ პრესაზე არაფერი გვითქვამს ძვირფასი მკითხველებისათვის. კაცმა რომ ყურადღება მიაქციოს, „ღვთის წინაშე“ ამის ღირსი არაფერი მომხდარა დღემდე, რასაც ამტკიცებს თავის თავათ პრესის არსებობა. მხოლოდ ამ ბოლო დროს ქ-ნმა „ქარიშხალმა“ წინააღმდეგ თავისი ძველი მეგობრობისა ფრიად შეურაცხ-ყო ბ-ნი „ბატონი“.

ბ-ნ Baton-ის სიტყვით: „ყველა იდიოტს თავისი თავი ჭკვიანი ჰგონია“-ო, და რადგანაც თვით „ბატონსაც“ თავისი თავი ჭკვიანი ჰგონია ცხადია, თითონაც . . . ამბობს ქ-ნი ,,ქარიშხალი''.

ბ-ნ „ბატონს“ ეწყინა ამხანაგისაგან თანამაგვარი ექვები და მოახსენა; „ქ-ნო „ქარიშხალო“! თქვენი რახა-რუხი მე ვერ შემაშინებს, მაგრამ თქვენ კი ქვეყანა გიცნობთ რაცა ბრძანდებით, რა ,,რწმენისაც'' ხართ, რომელ ,,იდეალსაც'' ემსახურებით, რა ცხოველთა სიაშიაც სწერიხართ და რომელ ,,პარტიასაც'' ეკუთვნით. ნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბოძეთ ქ-ნო, თქვენ ანარქისტ-ობას მცირეოდენი ეჭვის თვალით განუჭვრიტო. გარდა ამისა თქვენ ქ-ნო „ქარიშხალო“ ჩემს წინააღმდეგ ვერაფერი არგუმენტი ვერ ნახეთ და ვერც ნახავთ რაც უნდა ალაყლაყოთ თქვენი ცარიელი თავი. თვინიერ ზემო თქმულისა ნება მიბოძეთ პატივცემულო ქალბატონო, დეგენერატობის სრული ატესტატი ჩაგაბაროთ და აგრეთვე თქვენგან ჩემდამო მოძღვნილი ტიტული კრუშევან-პურიშკევიჩ-დუბროვინ-სუვორინ-ვოსტორგოვ ილიოდორ ბულაცელ-დეზობრი-გამზეი-გამზეიჩობისა უკანვე დაგიბრუნოთ გრინგმუტ-კონოვნიცინ-მეშჩერსკობის ზეწარმატებით“.

ამაზე შესწყდა საინტერესო კამათი და ახლა სიტყვა ქ-ნ „ქარიშხალზეა“ დარჩენილი.

---

## კითხვა-პასუხი.

**ბურჟუა.** შენ პირი ერთი გაქვს, ხელი კი ორი.

**მუშა.** რათა?

**ბურჟუა.** იმიტომ რომა, ბევრი იმუშაო და ცოტა სჭამო.

**მუშა.** შენც ხომ პირი ერთი გაქვს და ხელი კი ორი?

**ბურჟუა.** დიახ...

**მუშა.** თათა?

**ბურჟუა.** იმიტომ რომ ცოტა ვიმუშაო და ბევრი ვჭამო.

**მუშა.** ვააა!!!

---

## პ ო ლ ე მ ი კ ა.

იუმორისტული გაზეთი „ისარი“-ს მკვეთრი ენა კვლავ ალაპარაკდა. ცნობილი იუმორისტი ი. ნაკაშიძე კვლად „მკვეთრ მკვეთრ“ ცრემლებსა ღვრის „შუამავლის“ გამოტირილზე. იტირის ბ-ნმა ი. ნაკაშიძემ!! საკუთარი მდგომარეობა მუდამ ძნელი გასარკვევია, თუნდაც ისეთი იუმორ-ბაუბაუ-მდევისთვის, როგორიცა ბრძანდება „ისრის“ სულის ჩამდგმელი პატარა ფელეტონისტი რა ვქნათ, რომ ყველა გურული ისეთი მიუწდომელი ნიჭისა ვერ დაჩნეს და ისეთი გონება მახვილობა ვერ გამოიჩინოს, როგორსაც ისარის იუმორისტი იჩენს? ბედნიერება ი. ნაკაშიძის ყოლისა „ისარმა“ იგემოს. მისი დიდი ნიჭიც „ისარმა“ დაიკვეხოს ჩვენ საწყალი „კაცუნები“ რა გასაკვირია ვერ მივწვდეთ მისი იუმორის აღმაფრენას და ვერ გავითვალისწინოთ მისი „პუბლიცისტურ-ზნეობრივი“ ღრმა მკვეთრი აზრები. ნუ თუ ესეც დანაშაულია?! მიუხედავათ იმისა, რომ „ისარი“ და „ზაკავკაზიე“ იმის აზრებით სულდგმულობენ და ცხადია ვერ შეელევიან ამ სიბრძნეთა წყაროს, ჩვენც მივცემთ ბ-ნ ი. ნაკაშიძეს ოროდ გროშს, თუ მოგვხედავს და თავისი მკვეთრი და გესლიანი „ტიასტებით“ („ქარიშხალის“ კილოა) ქართულ და მით უმეტეს გურულ ოხუნჯობას შესაფერ სიმაღლეზე დააყენებს. როგორც მისი „ფელეტონიდან“ სჩანს („ისარი“ № 179) იმ დასკვნამდე მივიდა ი ნაკაშიძის ოხუნჯობა, რომ ჩვენგან შემოსავალ-გასავლის წიგნებს თხოულობს და „მოსაგებ ხელობაში“ მონაწილეობას გვიკვეთს. რა გაეწყობა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენც მივცემდით ილ. ნაკაშიძეს ოროდ გროშს, მაგრამ ვერ შეელევა „ისარი“ იმის „თანამედროვე“ და „ფაქიზ“ იუმორებს. და თუ ვინიცობა ეს გახსენება სხვა ქამანდა იყო და „სახარჯოც“ საჭირო, არც ამაზე ვეტყვით უარს ჩვენი „მოსაგებიდან“.

დასასრულ სამწუხაროა ისიც, რომ ყველა მის მიერ დასახელებული ავტორები: უსპენსკი, „მოლა მასრადინა“ და სხ. უკვე წარსულს ეკუთვნიან, თორემ რამდენადაც „შუამავლის“ უშნო ოხუნჯობა წყენას მიაყენებდა მათ, იმდენათ ი. ნაკაშიძის ნაწერები აგრძნობინებდენ სულიერ სიამოვნებას და აღმაფრენას.

**ეშმაკი.**

---

# პარტიები.

---

37 ივლისს ქალაქის განაპირა უბანში შესდგა კავკასიის შანტაჟისტთა კონგრესი. კონგრესი სხვადასხვა „დამოუკიდებელი“ მიზეზებისა გამო სრული არ ყოფილა, მაგრამ წარმომადგენელთა მიხედვით პარტიის რაოდენობა 17007 კაცამდე ადის. კონფერენციაზე საკუთარი წარმომადგენლები ყავდა შემდეგ ფრაქციებს:

1) „ანარქისტი ტერორისტი“—3 დელეგატი
2) „მდიდართა მძარცველი, ღარიბთა დამცველი“ . . . . . . . . 1 „
3) „ყაჩაღთა ჯგუფი“ . . . . 1 წარმომადგ.
4) „ან სული, ან ფული“ . . 2 „
5) „სვანების ჯგუფი“ . . . . 1 „
6) „შავი ყორანი“ . . . . . 1 „
7) „გაუმარჯოს სიკვდილს!“ . 1 „
8) „მაუზერი“ . . . . . . . 1 „
9) „შევარდენი“ . . . . . . 1 „
10) „შეთებელადის ბრბო“ . . 1 „
11) „ცეცხლითა და მახვილ-თ.“ 1 „
12) „დაჰკალ მოღალატე“ . . . 1 „
13) „ყუმპარა“ . . . . . . . 1 „
14) „შურის ძიება“ . . . . . 1 „
15) „რევოლიოციონ. შანტაჟი“ 1 „
16) „სიკვდილი“ . . . . . . 1 „
17) „ჯოჯოხეთის ძალა“ . . . 1 „

სულ შესდგა 20 კაცი. კონფერენციას ხელმძღვანელობდა „ანარქისტ-ტერორისტთა“ წარმომადგენელი. ცხარე და ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

1) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გამძვინარარებულმა რეაქციამ შეჰქმნა საუკეთესო ნიადაგი ჩვენი იდეებისა და პრაქტიკის განსახორციელებლათ, სრული თავისუფლების მონიჭებით;

2-რომ ხალხიც თანაუგრძნობს ჩვენს ტაქტიკას და ხელს გვიწყობს ყოველგვარ მოქმედებაში;

3-რომ მუქთა ხორობას დაჩვეულნი ვერ გავსძლებთ თვინიერ ქეიფებისა და დროსტარებისა.

და 4. რომ შანტაჟისტობა არის ერთადერთი საშვალება განმათავისუფლებელი მოძრაობის გადარჩენისა,

ერთხმათ ვადგენთ:

1-გავაფართოვოთ და გავამრავლოთ პარტიული ორგანიზაციები.

2-გავაძლიეროთ და შევაკავშიროთ დაქსაქსული მებრძოლი რაზმები.

3-მიღებულ აქნას ყოველგვარი ზომები, რომ პარტიაში შემოვიყვანოთ ის ორიოდე მაზრის უფროსი და მდევნელი ადმინისტრაცია, რომელიც, რაღაცა სასწაულით ჩვენი პარტიის გარეშე დარჩენილან.

4-პარტიაში მყოფ ადმინისტრაციის წევრებსა და დიდ ჩინოვნიკებს მიეცეს ზედმეტი ნაწილი, როგორც თითონ წევრების, აგრეთვე მათი გარეშე ამხანევების წასახალისებლათ.

5-მიღებულ იქნას ზომები მოსამართლეთა შორის წევრების გასაჩენათ, რისთვისაც დაიხარჯოს პარტიული კასიდან იმდენი, რამდენსაც მოსამართლენი მოითხოვენ ქრთამად.

და 6-დაუყონებლივ გამოიცეს პარტიული ორგანო: ქართულს, სომხურს, რუსულს, თათრულ და ოსურ ენებზე.“

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ხორომ სამგზის იმღერა: „მოვსტაცოთ და მოვსტაცოთ...“, რის შემდეგ მშვიდობიანათ დაიშალა.

**ნესტარი.**

---

ამ დღეებშივე, თფ. რკინის გზის სადგურის ბაქანზე შესდგა „ჯიბგირთა“ პარტიის პლენალური (სრული) კრება. დაესწრო 17 დელეგატი, თითო 35 წევრის წარმომადგენელი.

კრების უმთავრესსა და საჭირ-ბოროტოსაგანს „შანტაჟისტებთან“ შეერთების საკითხი შეადგენდა მომხსენებლათ გამოვიდა „ფიდუა ჯიბგირი“ პარტიის ლიდერი. ვრცელსა და მკაფიო სიტყვაში, მან ნათლათ და აშკარათ დაასურათა „ძალთა შეერთების“ საჭიროება. ერთის გრძნობით გატაცებული კრება უეჭველია შესაფერ რეზოლიუციას გამოიტანდა შეერთების შესახებ, მაგრამ ამ დროს სადგურის ბაქანს ბათუმის მატარებელი მოადგა და წევრებმა არჩიეს უბრალო სიტყვებისათვის თავი დაენებებინათ და უბრალო მგზავრებთან დაეჭირათ პრაქტიკული განწყობილება.

არ გასულა ხუთმეტიოდე წუთი, რომ აქა-იქ ტირილის ხმა გაისმა და მგზავრნი დაკარგული ბარგების ამაო ძებნას შეუდგენ.

დასასრული კრებისა ახლო მომავალში მოხდება.

კრუა.

---

## რუსეთის პოლიტიკური პარტიები და მათი პროგრამები.

### I.

### „რუსთა კავშირი“

როცა რუსეთის პოლიტიკურმა ზღვამ ნაპირზე გამორიყა მის გულში დამარხული ყოველივე სიბინძურე და ნაგავი, ამ სიბინძურიდან შესდგა ძლიერი პარტია „რუსთა კავშირი“. დასაწყისში პარტია სუსტი იყო და არეულათ, უპრაგრამოთ მოქმედებდა. უკანასკნელ დროს მოახდინეს სიეზდი, რომელზედაც შეიმუშავეს საკუთარი პროგრამა. პროგრამა შემდეგია:

1) ერიჰა! ხალხმა ძალიან თავი აიგდო! გაბატონება მოინდომა. წაერთვას მას ყოველივე უფლება-უპირატესობა და გახდეს მონა. მოისპოს ყოველივე არსებული კანონმდებლობა.

2) შესდგეს ახალი საკანონმდებლო დაწესებულება მღვდლების, ეფისკოპოზების, ბერების, მონაზონების და გოროდოვოი—სტრაჟნიკებისგან. ამ დაწესებულებამ არჩევის უფლება მიეცეს ზემოაღნიშნულ პირებს პირდაპირ და აშკარათ. დეპუტატებათ უსათუოთ ბოქაულები უნდა აირჩიონ.

3) გაუქმდეს ქალაქის თვითმართველობები და გამრავლდეს საპოლიციო ნაწილები. ქალაქის თავების ადგილას დაინიშნონ დამსახურებული ბოქაულები.

4) ყველა პოლიციელ ჩინოვნიკს უფლება ქონდეს შეეხოს ყველას ბინას როცა მოუნდება მივიდეს სადაც უნდა, აბუჯგუროს—დააბუჯგუროს იქაურობა, აანგრიოს დაანგრიოს, აამტვრიოს დაამტვრიოს, ააცოლოს დააცოლოს, ასცხოს დასცხოს, იყვიროს ილანძღოს, დაიჭიროს სცემოს და სხვა.

5) მოისპოს სინდისი, მოისპოს ლაპარაკი, კრება კავშირები, გაფიცვა და სხვა.

არ ვის უფლება არ ქონდეს ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდეს.

7) რადგანაც გლეხობამ და მუშებმა ამ ბოლო დროს ძლიერ აიგდეს თავი და უფროსს და ბატონს აღარ სცნობენ, ამიტომ ხელ-მეორეთ სასტიკათ განისაზღვროს წოდებათა შორის გარჩევა, შემოღებულ იქნეს ახალი წოდებები: გრაფობა ბარონობა, და სხვა. აღეკრძალოთ ქალებს გარეთ გამოსვლა უჩადროთ და კაცებთან ლაპარაკი. გამევებულ იქნენ ადგილებიდან ის ქალები, რომლებიც ეხლა სამსახურში არიან, მუდმივ სამყოფათ დაინიშნოთ კერა.

8) არცერთ მოქალაქეს უფლება არ ქონდეს, ილაპარაკოს სხვა ენაზე, გარდა რუსულისა. დამნაშავეს, ამოაძრონ ენა.

9) არ დააკალონ თვით-გამორკვევა არცერთ ერს.

10) ყველა ჩინოვნიკს უფლება ქონდეს ისე იმოქმედოს, როგორც მისი სურვილია.

11) მსაჯულების დანიშვნა ბოქაულების უფლებაა მსაჯულებათ დაინიშნოს გიმნასტიკაში კურს გავლილი სალდათები.

12) ეკკლესიის სახელმწიფოზე დაჯდომა. ეკკლესია სახელმწიფოსთან უნდა დაქორწინდეს, რადგან ისინი ერთი-მეორის ბურჯია.

13) დაარსდეს სკოლები მდიდრებისთვის. ღარიბებისთვის სკოლა სატუსაღოებში გახსნან.

14) მუშებისთვის განსაზღვრულ იქნას სამუშაო დღე 24 საათით.

15) ერთხელ და უკანასკნელათ დაკანონდეს, რომ მუშები მხოლოდ სასაფლაოზე მოასვენონ.

16) უბედურ შემთხვევების დროს გაეყიდოს მუშას ყოველივე ქონება ხაზეინის სასარგებლოთ.

17) ყოველივე თავისუფლების სამხედრო საველე სამართალში მიცემა და ჩამოხრჩობა.

18) ბატონ-ყმობის აღდგენა.

19) თავისუფლება პაგრომებისა.

20) თავისუფლება ძარცვა-გლეჯისა.

21) თავისუფლება ცემა ტყეპისა.

22) გლეხებისათვის მიწების ჩამორთმევა და უსასყიდლოთ შემამულეებზე გადაცემა.

23) სტრაჟნიკების გამრავლება

24) ბოქაულთა ამატება.

25) დუმის გაქრობა.

26) რევოლიუციის ჩაქრობა.

ირეთელი.




კორეია და იაპონია.

---

## დეპეშები.

### კავკასია.

**ქუთაისი.** ტუსაღების შეკითხვაზე სახადის შესახებ, ადმინისტრაციამ უპასუხა: სახადი რა მოხელე ნაჩალნიკია, თქვენ ღმერთს ევედრეთ, ხოლერა არ გესტუმროთო“. ტუსაღები დამშვიდდენ.

**სუფსა.** მესამე დღეა, რაც 1500 კაცი არ შორდება ჩვენს ბოქაულს. „გვიყვარხართ ჩვენო თვალის სინათლევ და როგორ მოგშორდებითო“. თითონ უქმელი არიან და ინგუშები კი მათ სარჩო-საბადებელს სჭამენ.

**ბაკურიანი.** კარტის კურსმა უმაღლესათ აიწია. მსურველი ურიცხვია. კამათლების ბაზარი დაეცა.

**ხურამი.** სადგურის ადმინისტრაციის თავისს უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენია:

1) ვიღებთ რა სახეში ადგილობრივი ფეხის ადგილის სიბინძურეს და ანტი სანიტარულ მდგომარეობას,

2) ამასთანავე ვიღებთ რა მხედველობაში ხოლერის საფრთხეს.

ერთხმათ ვადგენთ, კვირეში ერთხელ დასუფთავდეს აღნიშნული საზოგადო დაწესებულება.

**ბათუმი.** გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქო ბათუმის ციხეს ანგრევენო, სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს, ხოლო თუ ეს ამბავი გამართლდა, ბათუმის უმუშევართა ბედს ძალიან არ

დაჰყეფს. ხუთი გორაკის გადათხრა ხუმრობა საქმე ხომ არ არის.

**ბაქო.** გუშინ გამოიარა ასტრახანიდან მომავალმა ხოლერამ. ქალაქის წარმომადგენლებმა პურ-მარილი მიართვეს და დარჩენა სთხოვეს, მაგრამ ქალბატონმა არ ინება, ვინაიდან თფილისში მიეჩქარებოდა.

**წყალტუბოს აბანოები.** მიუხედავათ ექიმების დარიგებისა ერთ აუზში თურმე 117 კაცი ჩასულა ერთდროულათ. ამათგან 9 კაცი იქავ დამხრჩვალა ადგილობრივად; 17 კაცი ბინების უქონლობუვარგისობისა გამო გაციევბულა და მომკვდარა; 67 შიმშილის სახადი გასჩენია უსურსათობისა გამო, ხოლო 3 კაცი მეეტლეებს დაუმტვრევიათ ქუთაისში ჩაყვანამდე დანარჩენები ჯერ-ჯერობით თავს გვარიანათ გრძნობენ.

**სუფსა.** გაჩნდა გოჭების ჭირი, რომელრაც კავშირი აქვს პოლიციის შემოსევასთან.

**ქუთაისი.** წყალ-წითელას პირზე „ალლუმის“ შემდეგ, „ნაგორნი უჩასტკის“ ადმინისტრაციამ საცდელი იერიში მიიტანა საფიჩხიაში ნესვ-საზამთროთა ბანაკებზე. სასტიკი სისხლის ღვრა მოხდა. პოლიციის მხრივ არავინ დაშავებულა. ნესვ-საზამთროთა გვიმებით-კი მთელი მიდამო მოიფინა. ადმინისტრაციის ამგვარი მზადება ხოლერის მოახლოებით არის გამოწვეული.

**სურამი.** მოხეტიალე წერეთელს დღეს სკანდალი აღარ მოუხდენია. ეს დღე უჩვეულო დღეა სურამისათვის.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** ვასრულებ თქვენს თხოვნას და გაუწყებთ, რომ მხოლოდ მარტო ივლისის განმავლობაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 14 კაცს, რომელთაგან მოკლეს 10 კაცი. კატორგა გადაუწყვიტეს 15 კაცს; გადასახლება 4 კაცს სულ ამ ხნის განმავლობაში დააჯარიმეს 7 რედაქცია 5000 მანეთით

**მოსკოვი.** მოსკოვის რაიონში სიკვდილით დასჯა სულ 10 კაცს გადაუწყვიტეს და ერთს აპატიეს. კატორგაში 11 კაცი გაგზავნეს, ხოლო რაიცა შეეხება ჯარიმას, სულ შეხება იქონიეს 17 რედაქციასთან. ჯარიმის საერთო რიცხვი 14000 მან. უდრის.

**ვარშავა.** პოლონეთში სიკვდილით დასაჯეს 16 კაცი, თუმცა გადაწყვეტილი 22 ჰქონდა. კატორგაში 64 კაცი გაგზავნეს და გაზეთები 3000 მანეთით დააჯარიმეს. გახსოვდეთ ეს მხოლოდ ივლისის განმავლობაში.

**რიგა.** გასულ ივლისში ბალტიის მხარემ ყველას აჯობა. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 36 კაცს, ხოლო დასაჯეს 29. კატორგაში ჩვენებს უფრო ნაკლებათ აგზავნიან.

**ადესა** არც ადესის რაიონი ჩამორჩენია სხვებს. გასულ ივლისში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 26 კაცს და დასაჯეს 23 კაცი.

**კიევი.** კიევის სამხედრო ოლქში შედარებით ცოტა დარჩა სიკვდილით დასჯილი. სულ გადაწყდა 15 კაცის მოკვლა, მაგრამ ამათგან სამს აპატიეს. რაიცა შეეხება გაზეთების დაჯარიმებას, ამ მხრით სულ 800 მანეთის ზარალია, რადგან უმეტეს ნაწილათ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობას შავ-რაზმული ხასიათი აქვს.

**ვილნო** ვილნოს რაიონში ივლისის განმავლობაში 11 სასიკვდილო ოქმი გამოიტანა სამხედრო საოლქო სასამართლომ, მაგრამ იმდენათ გულკეთილნი გამოდგენ, რომ 8 კაცს აჩუქეს სიკოცხლე და მხოლოდ სამს წაართვეს. კატორღაში კი სამაგიეროთ 13 კაცი გაამგზავრეს.

**ყაზანი.** არც ყაზანის სამხედრო საოლქო სასამართლო ყოფილა გულზე ხელ დაკრეფილი გასულ ივლისის განმავლობაში. მან 9 სიკვდილის განაჩენი გამოიტანა და რაც გამოიტანა, კიდევაც გაიტანა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**შტუდგარდტი.** თქვენი კორესპოდენტის ცნობა, ვითომც საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის თავმჯდომარეთ „დაშნაკცაკანი“ აერჩიოთ, სიმართლეს მოკლებულია [1]. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ზინგერი, გერმანელი სოციალ-დემოკრატი. სამწუხარო შეცდომაა, მაგრამ რა გაეწყობა.

**ჰააგა.** სამშვიდობო კონფერენციამ წინადადება მისცა სპარსეთის მთავრობას, რომ მან ოსმალეთს, საზღვრების გადალახვისათვის, ომი გამოუცხადოს. ამასთანავე ურჩევს ომის დროს იხელმძღვანელოს იმ მუხლებით, რომელიც კონფერენციამ გამოიმუშავა და მოიწონა.

**პარიჟი.** მთელი საფრანგეთი აღფრთოვანებულია იმ სიმხეცით, რომელიც მაროკკოში გაგზავნილმა ჯარმა გამოიჩინა.

1) სწორედ სამწუხაროა ასეთი შეცდომა, მაგრამ უფრო სამწუხაროა კორესპოდენტთა დღევანდელი ცუღლუტობა. აღარ იცის კაცმა, ვის დაუჯეროს. ისეთ რამეებს მოაჭორებენ, რომ ადვილი აღარ არის იქიდან თავის დახწევა. გაიხსენეთ მარტო გრ. ვოლსკის ამბავი! კორესპოდენტთა წყალობით ზოგიერთმა გაზეთებმა „სულთა თანა“ უგალობეს და კაცი კი ცოცხალი ყოფილა!

სამხედრო მინისტრს აუარებელი მილოცვის დეპეშები მოსდის. ერთი ამგვარი ადრესი გაა_ის სამშვიდობო კონფერენციისაგანაც მიიღო პიკარმა.

**იშლი.** ხელმწიფე იმპერატორებმა საუზმე გემოიანათ მიირთვეს. ხალხი აღფრთოვანებულია.

**ლონდონი.** მოროკოდან იუწყებიან: მულლაი-გაფიდი ხალხმა მაროკოს სულთანათ გამოაცხადა და ძლიერი რაზმით კაზა-ბლანკას ასაღებათ მოდისო. ფრანგები სათადარიგო ჯარს თხოულობენ სამშობლოდან.

**თეირანი.** ჩვენი ცნობით ოსმალეთის ჯარია დანაშაული, ხოლო ოსმალეთის ცნობით სპარსეთის ჯარი. მეჯლისმა ვერ გაიგო: როგორ შეიძლება ორივე დანაშაული ან უდანაშაულო ვიყოთო.

**ტოკიო.** დაკარგული კორეის იმპერატორის აღმოჩენას ის აძნელებს, რომ კორეიის მცხოვრებთ არასოდეს თვალით არ უნახავთ თავისი იმპერატორი და ამისათვის არც იცნობენ. სურათზე კი, როგორც მიღებულია საზოგადოთ, იმპერატორს უფრო ლამაზათ ხატავდენ და ისიც მადლიერი იყო. რა იცოდა თუ დაიკარგებოდა.

---

### ს ი მ ღ ე რ ა.

ყველასათვის ტყვია მსურს,
კრამოლნიკთა მტერი ვარ,
სოფლათ „ბუნტს“ არ შევუშვებ
და მით ბედნიერი ვარ.

მე სხვას არას დავეძებ,
არც ყაჩაღებს, არც ქურდებს;
სოციალისტებს ვიჭერ:
ხალხს ისენი აწუხებს.

პატიოსან ოფლსა ვღვრი
ჩინოვნიკათ ვწერივარ
ბუნტოვჩიკებს ვექადი,
და მით ბედნიერი ვარ.

ზოგს ვიჭერ და ვასახლებ,
ზოგს ციხეში ვასვენებ,
ვიდრე სული მიდგია,
ენას არ მოვასვენებ.

ბატონიც ვარ, მეფეც ვარ,
თითქმის ყველაფერი ვარ!..
ერთობას ვსპობ, რა გინდათ?
და მით ბედნიერი ვარ.

ჯოჯოხეთის მაშხალა.

## წერილი რედაქციას.

I

ბ-ნო რედაქტორო!

ბაბილონის გოდოლისა და ენათა შერევისა არ იყოს, დღეს ერთი მეორისა ბევრს არა გაეგება-რა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ბევრმა იმისი ავან-ჩავანიც არ იცის რასაც თითონ ლაპარაკობს და რაშიაც სხვას არწმუნებს. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდა **ივლიანე ჯაყელი**. მისი ვერცხლის წყალივით მგრძნობიარე თავმოყვარეობა ვილაცას შეუწუხებია და ამ არა სასიამოვნო გრძნობას გასაოცარ დასკვნამდე მიუჩოჩებია მისი გონება. ივლიანე ჯაყელი სამედიატორო სამართალში იწვევს ეშმაკს. მიკვირს რისთვის შეჩერდა მისი ბედნიერი თვალები მასზე, როცა რომ ეშმაკის დანაწერში არსად ივლიანე ჯაყელის არსებობა არ არის აღნიშნული.

ბ-ნო რედაქტორო! მოახსენეთ ივლიანე ჯაყელს, რომ მე არასოდეს ეჭვი არ შემსვლია იმის ორჭოფობაში, არასოდეს შეურაცყოფა არ მიმიყენებია მისი პიროვნებისათვის და არასოდეს (გარდა ამ წერილისა) არ დამიწერია მისი სახელი და გვარი. მე აქ ერთი რამ მაკვირვებს ბ ნო რედაქტორო; თუ ივლიანემ ასეთი „წერა“ იცის, კითხვაზე რაღამ შეუშალა ხელი, და თუ კითხვაზედაც ასე ყოჩაღათ არის, მაშ სად ნახა თუნდ „შუამავლის“ პირველ ნომერში **„ეშმაკის“** ხელმოწერილი მისი ორჭოფობის საბუთი? თუ თითონ ივლიანეს კიდევ საეჭვოთა აქვს ეს საკითხი, მაშინ ვსთხოვ წერა კითხვის მცოდნე ექსპერტები დანიშნოს საქმის გამოსარკვევათ. მე დარწმუნებული ვარ: ვერავითარი „ობისკი“ ვერ აღმოაჩენს იმას, რაც ივლიანემ აღმოაჩინა. ეს კიდევ არაფერი! გადაფურცლოს ბ-ნმა ივლიანე ჯაყელმა ყველა იუმორისტული გაზეთები და აღმოაჩინოს **„ეშმაკის“** ფსევდონიმით დაწერილი მათი პიროვნების შეურაცხმყოფელი რამ.

დასასრულ ვსთხოვ ბ ნ ივლიანე ჯაყელს ნუ დაიზარებს და მაცნობოს მისი ხანგრძლივი შრომის ნაყოფი. რაიცა უეჭველ ათ ამაოება იქნება. თუ ვინიცობაა ის ვერ აღმოაჩენს საბუთს ჩემთან სამედიატორო მეჯლისისათვის და თუ ვინიცობაა ამისი დიდი სურვილი აქვს, მაშინ მე გავუწევ ხათრს და გამოვუწვევ მედიატორეში **ცილის დაწამებისათვის.**

მარადის თქვენი **ეშმაკი.**



რა გაეწყობა, ჯერ მაინც ამ მხარეს გადააქვს

II

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო რედაქტორო! სამწუხარო სურათს წარმოადგენს ერწოს სოფლები ღვთის მსახურების თვალთა ხედვის წერტილიდან. მღვდელი როცა გეახელით, მაშინ მეტი მქონდა მორიდება და პატივი. დღეს-დღეობით ბლაღოჩინი გახლავართ და დეკანოზობაზედაც მიდრეკილება მაქვს მიღებული, თუ დროებამ რასაკვირველია ხელი არ შემიშალა. ახლა აი რას მოგახსენებდით ბ-ნო ჩემო: მიშუამდგომლეთ ერთი მრევლთან, რომ გადაიხადონ კომლზე რაღაც კოდი პური უწევთ და ნახევარი კოდი ქერი მათი ჭირის სანაცვლო იყოს. ზოგიერთი მეუბნება: ორ მანეთს მოვცემთ ფულათო, ხოლო უმეტესი ნაწილი ცივ უარზეა. მე ფული არ მინდა თქვენი ჭირიმე და კოდობით რომ მომცემდენ, დაახლოებით 240 კოდი შემიდგება. მე ვიცი, რომ ხალხს პური ზამთრის პირამდე არ მიყვება, მაგრამ პირობას მივსცემ, რომ საჭიროების დროს მივყიდო მათ კოდი ხორბალი 4—5 მანეთის კვალობაზე. ახლა ხარჯი მომემატა, თორემ არ შევაწუხებდი თქვენ მზეს ვფიცავარ. ამგვარათ სრული იმედი მექნება თქვენი შუამდგომლობისა და საბადურში რბენა აღარ დამჭირდება.

მარადის თქვენი **ბ. წ—ური.**

P. S. რაიცა შეეხება მღვდელი თურქაძის საქმეს, ამაზე პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდეგი: მამა თურქაძეს ორჯერ უჩივლა მრევლმა და პრიგოვორიც შეუყენა, მოგვშორდეს თავიდანო, მაგრამ სიმართლე გითხრათ ჩემი მეოხებით საქმეს მსვლელობა არ მიეცა. მართლაც რას ემგვანება, მრევლმა რომ თავის მიხედვით დაითხოვოს და მიიღოს ღვთის მსახურნი?

**ბ. წ.**

---

### „შუამავლის“ ფოსტა

**სურამი**—ბ-ნს კრაზანას. პატივცემულო კორესპოდენტო! ნუ გეწყინებათ, რომ თქვენი ლექსი ვილაცა მეფანდურე კოსტიასა და სურამელი ბარიშნების შესახებ ვერ დავბეჭდოთ. ლექსი კარგათ არის დაწერილი რითმის მხრივ, მაგრამ ჩვენ უფრო შინაარსს ვაქცევთ ყურადღებას. ეს ლექსი ჩვენ მაშინაც მივიღეთ, მაგრამ სწორეთ შინაარსის შეუფერებლობის გამო არ დავბეჭდეთ. თქვენ იწერებით ამ კოსტიასთვის სწორეთ შეიშალენ ბარიშნები და ზოგიერთი „მადამები“-ცო; დაჰკარგეს ადამიანობა და ვინ იცის რას არ სჩადიანო. ჯერ ერთი, როგორც ყოველი, დიახ, როგორც ყოველი კორესპოდენტი, თქვენ ალბათ ცოტას აჭარბებთ დედათა გატაცების საკითხში და მართლაც რომ ეს ასე იყოს, ვითომ რას უშველის „შუამავალში“ ლექსის დაბეჭდვა? პირიქით, შეიძლება ისიც კი იფიქრონ, რომ რაკი საქმეში შუამავალი ჩაერია, უკეთესი იქნებაო. ასე, ნუ გეწყინებათ, თუ ღმერთი გრწამთ და შემდეგ რასაც მოგვაწვდით, სავსებით აღგიბეჭდავთ.

**ისმაილიანს.** თქვენი ლექსი: „ილიკო ბარბაქაძეს“, თუმცა გვარიანათ არის დაწერილი, მაგრამ არ დაიბეჭდება, რადგან საქმის ვითარება არ იცის რედაქციამ და ლექსიდან კი არაფერი ირკვევა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ს. კეკელიძე.**

---

### აგენტების საყურადღებოთ.

„შუამავლის რედაქცია მოაგონებს თავის პატივცემულ აგენტებს, რომ ანგარიშის გასწორებას ნუ დააგვიანებენ აგრე რიგათ. სასურველია სამი პირველი ნომრების ანგარიში ცალკე გასწორდეს და დანარჩენების ცალკე, ხოლო ორივე ერთად რაც შეიძლება ადრე.

---

**დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდათ**

**ივ. გომელაურის** მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

ქართველი მწერლები

**მათი სურათებით და ბიოგრაფიებით**

წიგნი პირველი, მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. (0—5—1)

---

ელექტრომბეჭდავი

**ამხანაგობა**

**„შ რ ო მ ა“**

ყოველგვარ სასტამბო საქმეს ასრულებს სუფთად და სწრაფად დაკლებულ ფასებში.